ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

2020 წლის 29 აპრილის სხდომის

ოქმი N6

ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი N 6

ქ. ხონი 29 აპრილი, 2020 წელი

2020 წლის 29 აპრილს საკრებულოს სხდომათა დარბაზში გაიმართა ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე ვალერი ბახტაძე. სხდომას საკრებულოს 28 წევრიდან ესწრებოდა: კობა კუბლაშვილი, არსენ ბენდელიანი, ნანა ბახტაძე, ჯუნგლი გოდერიძე, ალიკო ვეკუა, ზაზა ვაშაკიძე, არჩილ საღარაძე, მაკა ტაბიძე, ოლეგი ვაჭარაძე, ტარიელ ბარაბაძე, ლია ღაჭავა, შორენა კაკაბაძე, თამაზი ცაგარეიშვილი, ია სულუხია, ნაზიბროლა გეგია, ნუგზარ გორდულაძე, შორონე ჭოლოკავა, ირაკლი ბახტაძე.

სხდომა დაიწყო: 12 საათზე.

სხდომა დასრულდა: 13:00 საათზე.

დღის წესრიგი:

1.ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იმ წევრებზე, რომლებიც არ არიან საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 32-ე მუხლით გათვალისწინებულ თანამდებობებზე, საკრებულოს წევრის საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული საკონპენსაციო ხარჯების ანაზღაურების შესახებ.

მომხსენებელი: ვალერი ბახტაძე - საკრებულოს თავმჯდომარე

2. ,,ხონის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხსენებელი: ამირან კინწურაშვილი - მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი

3. ხონის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ

მომხსენებელი: ამირან კინწურაშვილი - მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი

4. ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, გარდა საკრებულოს თანამდებობის პირისა, უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ .

მომხსენებელი: ალიკო ვეკუა - იურიდიულ, სამანდატო , საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე

საკრებულოს წევრების მიერ სხდომის დღის წესრიგის პროექტის მიმართ შენიშვნები არ დაფიქსირებულა, სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

მომხრე __ 19

წინააღმდეგი___არცერთი

მიღებული განკარგულება ოქმს თან ერთვის.

დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხი: ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იმ წევრებზე, რომლებიც არ არიან საქართველოს ორგანუ ლი კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 32-ე მუხლით გათვალისწინებულ თანამდებობებზე, საკრებულოს წევრის საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული საკონპენსაციო ხარჯების ანაზღაურების შესახებ. საკრებულოს წევრებს გააცნო და მოახსენებით წარსდაგა ვალერი ბახტაძე - საკრებულოს თავმჯდომარე. საკრებულოს წევრების მიერ პროექტის მიმართ შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა წარმოდგენილ პროექტს ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იმ წევრებზე, რომლებიც არ არიან საქართველოს ორგანუ ლი კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 32-ე მუხლით გათვალისწინებულ თანამდებობებზე, საკრებულოს წევრის საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული საკონპენსაციო ხარჯების ანაზღაურების შესახებ.

მომხრე - 19

წინააღმდეგი - არცერთი

მიღებული განკარგულება ოქმს თან ერთვის.

დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხი:,,ხონის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ. მოხსენებით წარსდგა ამირან კინწურაშვული მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელი. საკრებულოს წევრების მიერ პროექტის მიმართ შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა წარმოდგენილ პროექტს: ,,ხონის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხრე - 19

წინააღმდეგი - არცერთი

მიღებული დადგენილება ოქმს თან ერთვის.

დღის წესრიგით გათვალისწინებული მესამე საკითხი: ხონის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ საკრებულოს წევრებს გააცნო და მოახსენებით წარსდაგა ამირან კინწურაშვილი მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელი. საკრებულოს წევრების მიერ პროექტის მიმართ შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა წარმოდგენილ პროექტს „ხონის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“

მომხრე - 19

წინააღმდეგი - არცერთი

მიღებული დადგენილება ოქმს თან ერთვის.

დღის წესრიგით გათვალისწინებული მეოთხე საკითხი: ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, გარდა საკრებულოს თანამდებობის პირისა, უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ საკრებულოს წევრებს გააცნო და მოახსენებით წარსდაგა ალიკო ვეკუა - საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე.

საკრებულოს წევრმა შორენა ჭოლოკავამ აღნიშნა რომ წარმოდგენილი პროექტი იურიდიულად არარის გამართული და თვლის რომ პროექტი საჭიროებს დახვეწას.

საკრებულოს სხვა წევრების მიერ პროექტის მიმართ შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა წარმოდგენილ პროექტს ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, გარდა საკრებულოს თანამდებობის პირისა, უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ

მომხრე - 18
წინააღმდეგი - 1
მიღებული დადგენილება ოქმს თან ერთვის.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვასთან დაკავშირებით სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: **ვალერი ბახტაძე**

სხდომის მდივანი: **აკაკი ქვათელაძე**